



<b>ქულების ჯამი:</b>	<b>მინიმუმ - 3</b> <b>მაქსიმუმ - 27 ქულა</b>
შემაჯავებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შემაჯავებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად); <input type="checkbox"/> A <input type="checkbox"/> B <input type="checkbox"/> C	
შემაჯავებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შემაჯავებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):	

2. შეფასების სამი კრიტერიუმიდან (1 - სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; 2 - აკადემიური კომპონენტი; 3 - პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა.

**კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:**

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არაა დამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

3. შემაჯავებელი შეფასება პროექტის შესახებ ეფუძნება და შესაბამისობაში უნდა იყოს შეფასების სამივე კრიტერიუმში 9-ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
21-27	A
10-20	B
3-9	C

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 18 ან მეტი ქულა. თუ პროექტის შეფასება პირველ და მეორე კრიტერიუმში არის „C“, პროექტი არ განიხილება დასაფინანსებლად, მიუხედავად ჯამური ქულების ოდენობისა.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.